ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 602

“ 19 ” დეკემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორე ქუჩის მე-4 შესახვევის №5-ში, (საკადასტრო კოდი: №81.08.21.463.01.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორე ქუჩის მე-4 შესახვევის №5-ში (საკადასტრო კოდი: №81.08.21.463.01.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 22 ნოემბრის №23.1789.1970 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორე ქუჩის მე-4 შესახვევის №5-ში, მეოთხე სართულზე არსებული 47.43 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №81.08.21.463.01.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მარინა სინიუკოვასთვის (პ/ნ. 12001078566) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე